 სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ნოემბერი, 2023 წ

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N 07-01/57

საქართველოს ბანკის სტიპენდიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 და 66-ე მუხლების, სს საქართველოს ბანკის 2023 წლის 14 ივლისის №883748 წერილის, ,,სს საქართველოს ბანკთან ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის დაფარვის სპონსორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 10 აგვისტოს N07-01/24 გადაწყვეტილების, სტუდენტების დაფინანსების შესახებ ბსუ-სა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმებული 2023 წლის 31 აგვისტოს NM8952 ხელშეკრულების, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და 2023 წლის 17 ნოემბრის სხდომის N07-02/13 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-სა და სს საქართველოს ბანკთან ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის სწავლის საფასურის დაფარვის სპონსორობის შესახებ 2023 წლის 31 აგვისტოს NM8952 ხელშეკრულების საფუძველზე (1 წლის განმავლობაში ბანკისაგან მისაღები სულ 14 062.5 ლარის ფარგლებში) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცდეს საქართველოს ბანკის სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი და გამოცხადდეს 2023-24 სასწავლო წლის განმავლობაში (სემესტრულად) საქართველოს ბანკის სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის და პირობების შესაბამისად.
2. საქართველოს ბანკის სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდეს სემესტრულად (მათ შორის მომდევნო წლებში სს საქართველოს ბანკთან ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაშიც).
3. ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება/ სამართლებრივი აქტების გამოცემა.

4. საქართველოს ბანკის სტიპენდიის შესახებ ინფორმაცია აისახოს სტუდენტთა გზამკვლევში.
5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**